

ზოგიერთ მწკრივთა სემანტიკური ურთიერთმიმართებისათვის რთულ კონსტრუქციებში

ავტორი ასოც. პროფ. ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.N1

ელ.ფოსტა: elene.pilashvili@tesau.edu.ge

ანოტაცია

ახალ ქართულში მწკრივთა სიახლოვე ნათლად ვლინდება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ერთმანეთის გვერდით ბუნებრივად ლაგდება და ერთმანეთს მიემართება არა მხოლოდ ერთგვარი მწკრივები, არამედ არაერთგვარი მწკრივებიც, რომელთა ურთიერთმიმართებასაც განაპირობებს აზრობრივ-შინაარსობრივი და მორფო-სინტაქსური კატეგორიები.

ახალ ქართულში უწყვეტელი მხოლოდ წარსული დროის მატარებელია, წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა წარსული ან მომავალი დრო, I თურმეობითი ახლანდელი ან მომავალი დრო, II თურმეობითი - წარსული, ხოლო კავშირებითი კილოს ფუნქციით ხმარებისას შეფარდებით მომავალს გამოხატავს.

რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში ვიღებთ როგორც მწკრივთა თანამიმდევრობის, ისე შეფარდებით მოდელებს: **უწყვეტელი - I თურმეობითი** („დიაღ, სულ თურმე ვიცინოდი და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნება მოუხდენია“), **უწყვეტელი - II თურმეობითი** („მე მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხ-ქვეშ გზად გამეშალა“), **წყვეტილი - I თურმეობითი** („ყველას ძალიან გაუკვირდა ეს სიმარჯვე ახალგაზრდა მეთოფის, მაგრამ თვითომ არც კი შეუმჩნევია, თოფს დაუწყო ფერვა“), **წყვეტილი - II თურმეობითი** („ავიხედე, ნისლეებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი“), ან მათი შებრუნებული წყობა: **I თურმეობითი - უწყვეტელი** („დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით გვერდით და ბუხარში შვლის მწვადები შიშინებდა“), **I თურმეობითი - წყვეტილი** („გაწუწულა კი ძალიან და სახაბაზოში შევგზავნე თორნეზე გასაშრობად“), **II თურმეობითი - უწყვეტელი** („წყლის მუშა ყოფილიყო, საწყალი, ქანცგაწყვეტილი ფართხალებდა“), **II თურმეობითი - წყვეტილი** („გლეხის ვახშამი დიაღ გადასულიყო, როცა პეპიას სახლთან მივედი“).

რა განაპირობებს მწკრივთა ასეთ კომბინაციას? რატომ ლაგდება ბუნებრივად აღნიშნული მწკრივები ერთმანეთის გვერდით რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში?

აღნიშნულ მწკრივთა წყვილებს აერთიანებთ საერთო ნიშანი, ელემენტი, მორფოლოგიური კატეგორია. სწორეს ეს საერთო ნიშანი იძლევა ბუნებრივად მწკრივთა თანამიმდევრობას ან შეფარდებას.

ჩანს, ქართულში არაერთგვარ მწკრივთა თანამიმდევრობა ან და შეფარდება დამოკიდებულია მწკრივთა საერთო თვისებაზე, საერთო ელემენტზე. დასახელებული მწკრივთა წყვილები ბუნებრივი კომპონენტები არიან და თავისუფლად ლაგდებიან ერთამეთის გვერდით, რაც განპირობებულია აღნიშნულ მწკრივთა საერთო მორფო-სინტაქსური კატეგორიებით, დრო-კილოთა ფორმებით.

საკვანძო სიტყვები: მწრივი, სემანტიკური ურთიერთმიმართება, პარატაქსი, ჰიპოტაქსი.

ახალ ქართულში მწკრივთა სიახლოვე ნათლად ვლინდება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ერთმანეთის გვერდით ბუნებრივად ლაგდება და ერთმანეთს მიემართება არა მხოლოდ ერთგვარი მწკრივები, არამედ არაერთგვარი მწკრივებიც, რომელთა ურთიერთმიმართებასაც განაპირობებს აზრობრივ-შინაარსობრივი და მორფო-სინტაქსური კატეგორიები.

პარატაქსულ კონსტრუქციაში ჩვენ პირობითად ვაერთიანებთ ე. წ. ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებებს.

ახალ ქართულში უწყვეტელი მხოლოდ წარსული დროის მატარებელია, წყვეტილის მწკრივით გადმოიცემა წარსული ან მომავალი დრო, I თურმეობითი ახლანდელი ან მომავალი დრო, II თურმეობითი - წარსული, ხოლო კავშირებითი კილოს ფუნქციით ხმარებისას შაფარდებით მომავალს გამოხატავს.

რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში ვიღებთ როგორც მწკრივთა თანამიმდევრობის, ისე შეფარდებით მოდებებს. ერთი მხრივ გვაქვს უწყვეტელი - I თურმეობითი, უწყვეტელი - II თურმეობითი, მეორე მხრივ კი წყვეტილი - I თურმეობითი, წყვეტილი - II თურმეობითი, ან მათი შებრუნებული წყობა.

რა განაპირობებს მწკრივთა ასეთ კომბინაციას? რატომ ლაგდება ბუნებრივად აღნიშნული მწკრივები ერთმანეთის გვერდით პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში?

აღნიშნულ მწკრივთა წყვილებს აერთიანებთ საერთო ნიშანი, ელემენტი, მორფოლოგიური კატეგორია. სწორეს ეს საერთო ნიშანი იძლევა ბუნებრივად მწკრივთა თანამიმდევრობას ან შეფარდებას.

რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში კომპონენტთა ურთიერთმიმართებას განაპირობებს არა მხოლოდ ფორმობრივი, არამედ აზრობრივ-შინაარსობრივი თავისებურებანიც, სადაც იკვეთება დროის სემანტიკური მნიშვნელობა, „ზმნის დრო ქართულში არ არის მორფოლოგიური (გრამატიკული), იგი ოდენ სემანტიკური კატეგორიაა“ (გოგოლაშვილი 2011: 332).

უწყვეტელი - „შედეგა ორი ელემენტისაგან. დრო წარსული, კილო - თხრობითი, ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, - სახელდობრ ერთდროულობას წარსულში“ (შანიძე 1980: 218-219). უწყვეტელი ეს არის ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული მწკრივი, რომლის დრო ყველა ტიპის წინადადებაში არის წარსული. ნებისმიერი ტიპის წინადადებაში მას აქვს თხრობითი კილოს მნიშვნელობა. უწყვეტლის მწკრივის ფორმა მოქმედების პროცესს უწყვეტად წარმოადგენს, რომელიც შეიძლება იყოს ერთგზისი ან მრავალგზისი. უმრავლეს შემთხვევაში უწყვეტლის მწკრივის ფორმით მრავალგზისობა გადმოიცემა.

წყვეტილი დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით - თხრობითი. ზოგჯერ გამოხატავს ბრძანებითი კილოს მნიშვნელობასაც. კონტექსტის მიხედვით წყვეტილის მწკრივს შეიძლება ჰქონდეს ახლანდელი დროის მნიშვნელობა (რაც ამ მწკრივისთვის უჩვეულოა). მაგ: „სად ვინა ხართ, დალია ხბურებმა ყანა მწერელ ჩვილებო?“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 47); „ეგენი გახლავან შენი ჭირიმე, ვიცანი“ (წერეთელი 1989: 133); „შემა აღარ არის, ცეცხლი ჩაქრა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 21); „დაილოცა ღვთის სიძლიერე, იმისი გზა და კვალი გაუგებარია“ (ჭავჭავაძე 1985: 216).

I თურმეობითი, ამ მწკრივის ძირითადი დრო წარსილია, კილო - თხრობითი. პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში შესწევს უნარი გამოხატოს თითქმის ყველა დრო. „I თურმეობითი შედეგობითი მნიშვნელობის ნაკვთია. მისი ძირითადი და ამოსავალი მნიშვნელობა არის აწმყო მდგომარეობის ჩვენება“ (ფხაკაძე 1984:79). „I თურმეობითი წარსულისა და აწმყოს კონტამინირებულ ფორმას წარმოადგენს“ (ფხაკაძე 1984:80). „I თურმეობითში სამი ელემენტი: დრო - წარსული, კილო - თხრობითი და აქტი - უნახავი“ (შანიძე 1980: 220). I თურმეობითით გადმოცემული მოქმედება „დადებით შემთხვევაში წყვეტილით არის გადმოცემული, მაგრამ უბრალო უარყოფის შემთხვევაში მას I თურმეობითი უნდა შეენაცვლოს“ (შანიძე 1980: 221-222).

ცნობილია, რომ ახალ ქართულში I თურმეობითი ხან I სერიის ფუძეს იყენებს საყრდენად ხან II სერიისას. კერძოდ, ხან აწმყოს ეყრდნობა, ხან წყვეტილს. ამიტომ, ბუნერივია წყვეტილი - I თურმეობითი და I თურმეობითი - წყვეტილი მწკრივთა მოდელების სემანტიკური ურთიერთმიმართება.

II თურმეობითი დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით - თხრობითი, ზოგჯერ კავშირებითიც, აქტი - უნახავი. II თურმეობითი ისეთ უნახავ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც წინ უსწრებდა წარსულში მომხდარ მოქმედებას.

ზოგჯერ II თურმეობითი გადმოსცემს მომავალ დროს წარსულის თვალსაზრისით: „ბუდე მთელი დამიხვდა, ღულუნი უნდა დამეწყო“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 93-94); „მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენ ფეხ-ქვეშ გზად გამეშალა“ (ჭავჭავაძე 1985: 254); „ცერებზე დგებოდა ყოველი ბიჯის გადადგმაზე და ძალზე ჰაერს ისუნთქავდა, თითქოს სცდილობდა, რომ გულ-ბოყვი გაედიდებინა, გაეხერა“ (წერეთელი 1989: 150).

„უწყვეტელი და II თურმეობითი, ორივე ფაქტობრივად ნამყოფა. მსგავსება პირველადი ჩანს, განსხვავება, ფუნქციური დაცილება (დიფერენცირება) - მეორეული, სხვაობის საფუძველი არა მხოლოდ სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ ურთიერთმიმართებაშიც უნდა ვეძიოთ“ (ჯორბენაძე 1980: 8).

ჩანს, ქართულში არაერთგვარ მწკრივთა თანამიმდევრობა ან და შეფარდება დამოკიდებულია მწკრივთა საერთო თვისებაზე, საერთო ელემენტზე. დასახელებული მწკრივთა წყვილები დასტურდება როგორც პარატაქსულ, ისე ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში.

პარატაქსული კონსტრუქცია

უკავშირო

უწყვეტელი - I თურმეობითი

„ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გაგვიტეხია, ერთ ჭერ-ქვეშ დაგვიხველებია“ (ჭავჭავაძე 1985: 206).

უწყვეტელი - II თურმეობითი

„მელი მობრძანდებოდა, ღმერთს მოწყალება მოელო მელის თავზე, ერთი ღალღა ემოვა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 36-37).

II თურმეობითი - უწყვეტელი

„წყლის მუშა ყოფილიყო, საწყალი, ქანცგაწყვეტილი ფართხალებდა“ (ჭავჭავაძე 1985: 221);

„დიდრონი, შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დახეთქილი წყლულიდან ჩირქი სდიოდა“ (ჭავჭავაძე 1985: 190).

წყვეტილი - I თურმეობითი

„ვაჟო, დათვო, თაცი დამანებე, წერას ნუ აუგდიხარ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 71);

„ეს მაღალმა ღმერთმა მოგცათ, თქვენც წილი გდებიათ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 101).

I თურმეობითი - წყვეტილი

„მაღლე გცოდნია, ძმობილო, პირობის ასრულება, მიბრძანა ხელახლად“ (ჭავჭავაძე 1985: 212).

წყვეტილი- II თურმეობითი

„ავიხედე, ნისლებით გაჭედდილიყო ხევ-ხუვი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 21).

II თურმეობითი -წყვეტილი

„წირვა გამოსულიყო, თეთრ-ჩადრიანი დედაკაცები თეთრად მოედნენ ქუჩას“ (ჭავჭავაძე 1985: 207).

მაჯგუფებელკავშირიანი

უწყვეტელი - I თურმეობითი

„დიაღ, სულ თურმე ვიცინოდი და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნება მოუხდენია“ (წერეთელი 1989: 23).

II თურმეობითი - უწყვეტელი

„კოშკიდან თურმე გადმომდგარიყო ახალგაზრდა ქალი და სარკმელში უყურებდა გულისფანცქალით ამ ამბავს“ (წერეთელი 1989: 136);

„დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცრემლი ჩამოსდიოდა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 17).

წყვეტილი - I თურმეობითი

„დათიკო სადღაც წავიდა და საღამომდე შინ არ შემოუხედნია“ (ჭავჭავაძე 1985: 197);

„დაწყნარდა ქვეყანა და გავარდნილებისა აღარა გაუგონიათ რა“ (წერეთელი 1989: 173).

I თურმეობითი - წყვეტილი

„გაწუწულა კი ძალიან და სახაბაზოში შევგზავნე თორნეზე გასაშრობად“ (წერეთელი 1989: 126).

წყვეტილი - II თურმეობითი

„მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავლუპილიყავი (ვაჟა-ფშაველა 1964: 64).

II თურმეობითი - წყვეტილი

„მამაჩემსაც გაეთავა ლოცვა და შემოვიდა ჩემთან“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 71).

მაპირისპირებელკავშირიანი

II თურმეობითი - უწყვეტელი

„მგელს წითელი ენა გადმოეგდო, ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 51).

წყვეტილი - I თურმეობითი

„ყველას ძალიან გაუკვირდა ეს სიმარჯვე ახალგაზრდა მეთოფის, მაგრამ თვითომ არც კი შეუმჩნევია, თოფს დაუწყო ფერვა“ (წერეთელი 1989: 136);

„ძირი დედამიწაზე უდგას, თავი კი ცას მიუბჯენია“ (ჭავჭავაძე 1985: 176).

I თურმეობითი - წყვეტილი

„იგი ავად არ გამხდარა თავის სიცოცხლეში, დღეს კი ავადობასაებრ რაღაც იგრძნო“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 38);

„სასახლეში ბევრს არავის დარჩენილა სასიამოვნოდ ახალგაზრდა გახუკის გამარჯვება, მაგრამ მაგიერად ერთი ვინმე კი სულ სხვა გუნებაზე დააყენა“ (წერეთელი 1989: 136).

წყვეტილი - II თურმეობითი

„ბლალოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვედამხოზილს, სული დაელია კიდეც“ (ჭავჭავაძე 1985: 269);

„გადააბრუნა ახლა სხვა გვერდი, ახლა სხვა წაიკითხა, ის კი სწორედ ჩვენს სოფელში გამეგონა“ (ჭავჭავაძე 1985: 198).

II თურმეობითი - წყვეტილი

„კიდეც რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა“ (ჭავჭავაძე 1985: 264).

ჰიპოტაქსური კონსტრუქცია

კავშირიანი შეერთება

I თურმეობითი - უწყვეტელი

„დიდ ხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით გვერძე და ბუხარში შვლის მწვადები შიშინებდა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 74).

უწყვეტელი - II თურმეობითი

„მე მარტო ის მინდოდა, რომ ჩემი ობოლი თავი შენთა ფეხ-ქვშ გზად გამეშალა“ (ჭავჭავაძე 1985: 233);

„რომ გაეცა კი, იმისი იქნებოდა“ (ჭავჭავაძე 1985: 214);

„ვიცოდი, რომ მე გეგონე და სიყვარულზე სიყვარული მემეატებოდა“ (წერეთელი 1989: 169);

„უკან დიაკვანი მისდევდა, რომელსაც საცეცხლური და ხელსახოცში გამოკრული ჟამნდავითნი დაეჭირა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 74);

„იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეცყინებოდა“ (ჭავჭავაძე 1985: 230);

„ისე ატაცებულსავით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ (ჭავჭავაძე 1985: 204);

ხან აქეთ და ხან იქით განზე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა“ (წერეთელი 1989: 151).

II თურმეობითი - უწყვეტილი

„ამალამ, რაც კი ოჯახში სამარხვო რამ მოიპოვებოდა, ყველა ის უნდა გაკეთებული, ჩვეულებისამებრ „მარხვის გასასტუმრებლად“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 70);

„სპარსელების სახელც არ უნდა ხსენებულიყო და მიზეზად იმერლები გამოეგონებინათ, რადგანაც ისინი იმ დროს დადიანზე ეპირებოდნენ გალაშქრებას (წერეთელი 1989: 136).

წყვეტილი - I თურმეობითი

„რაც რამ უთქვამს ჩემთვის, დღევანდლამდინ სიზმარივით დამახსოვდა“ (ჭავჭავაძე 1985: 215);

„ისიც მოახსენა, რომ ერთი გმირთაგანი თქვენ ბრძანებულხართო“ (წერეთელი 1989: 20);

„იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 57);

„რა დაგიშვა მაგ ცოდვილმა, რომ დაგიჭერია და უნდა გადაყლაპო“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 102);

„რად მოიკალით გული, რომელიც თქვენის მომმის სიყვარულისთვის მომიცია თქვენთვის“ (ჭავჭავაძე 1985: 225).

I თურმეობითი - წყვეტილი

„ამავე დროს დარბაზმა ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ გაეწყვიტა კავშირი სპარსეთთან და მიჰყვებოდა ჩრდილოეთს (წერეთელი 1989: 141);

„დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ ეზოში ძაღლმა დაიყეფა და ვიღაცას შეუტია (წერეთელი 1989: 157);

„ისე ჩემს სიცოცხლეში არა მინატრია-რა, როგორც იმ დღეს წიგნის კითხვა მე ვინატრე“ (ჭავჭავაძე 1985: 198).

წყვეტილი - II თურმეობითი

„სამი-ოთხი თვე ვუტრიალე დათიკოს და ვერ ჩავიგდე ისეთი ჟამი, რომ ერთმანეთს პირისპირ შევხვედროდით“ (ჭავჭავაძე 1985: 262);

„ვნახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხ თვეში ბევრი მოემატა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 34-35);

„იქითკენ დაიწყეს ყურება, საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო“ (წერეთელი 1989: 150);

„ტრედები მოულოდნელად დაღონდნენ, რა დაინახეს რომ ერთ წეროს დასჯდომოდა რაღაც დიდი, ლეგა ფრინველი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 96-97);

„ცნობისმოყვარეობა ჩემი წრეს გასცილდა, მერე იმანაც სიტყვა თვითონვე ისე გააგრძელა, რომ იმედი მომეცა გამომეთქმევიანებინა“ (ჭავჭავაძე 1985: 192);

„მე ისე მეჩვენა, თითქოს სახის მეტყველება შესცვლოდა“ (ჭავჭავაძე 1985: 192).

II თურმეობითი - წყვეტილი

„გლეხის ვახშამი დიად გადასულიყო, როცა პეპიას სახლთან მივედი“ (ჭავჭავაძე 1985: 238);

„ქორი ჯერ დაბლა დაეშვა, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ჩამოსულიყო, რომ უცბათ ჰაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცაში კამარა (წერეთელი 1989: 136).

ამრიგად, ერთი მხრივ უწყვეტელი - I თურმეობითი, უწყვეტელი - II თურმეობითი, მეორე მხრივ კი წყვეტილი - I თურმეობითი, წყვეტილი - II თურმეობითი და მათი შებრუნებული წყობა სემანტიკურად ურთიერთს მიემართება, ამიტომ პარატაქსულსა და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა მწკრივთა თანამიმდევრობასა და შეფარდებაში ბუნებრივი კომპონენტები არიან და თავისუფლად ლაგდებიან ერთამეთის გვერდით, რაც განპირობებულია აღნიშნულ მწკრივთა საერთო მორფო-სინტაქსური კატეგორიებით, დრო-კილოთა ფორმებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

გეგუჩაძე 2005: ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხი რთულ კონსტრუქციებში, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005.

გოგოლაშვილი 2011: გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.

გოგოლაშვილი 2010: გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.

კვაჭაძე 1996: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“, 1996.

ფხაკაძე 1984: დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.

შანიძე 1980: აკ. შანიძე, თხზულებანი III ტ. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.

ჯორბენაძე 1980: ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.

საანალიზო წყარო:

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.

წერეთელი 1989: აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.

ჭავჭავაძე 1985: ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ტომი IV, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1985 წ.